გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 26

2023 წლის 10 თებერვალი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, ჭავჭავაძისა და სტალინის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში (ს/კ 66.45.18.148) განთავსებული N3 (ფართობი: 4.35 კვ.მ) უძრავი ქონების (კომერციული დანიშნულების ობიექტის), პირობიანი აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში, 2022 წლის 30 დეკემბერს (N19/2022364113-20) შემოსულია განცხადება, რომელშიც მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (ს/კ 66.45.18.148) მიწისქვეშა გადასასვლელში მდებარე კომერციული დანიშნულების ობიექტის (მის: სტალინის და ჭავაჭავაძის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელი, მაღაზია - N3 ფართობი: 4.35 კვ.მ) სარგებლობის უფლებით გადაცემა.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2022 წლის 18 ოქტომბრის N 370-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, ქ. გორში, ჭავჭავაძისა და სტალინის ქუჩების კვეთაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელიდან (ს/კ 66.45.18.148, შენობის საერთო ფართი - 164.92 კვ.მ) N3 (ფართობი: 4.35 კვ.მ) კომერციული დანიშნულების ობიექტის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 5840 (ხუთიათას რვაას ორმოცი) ლარით.

გამომდინარე იქიდან, რომ გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ადგილობრივ ბიუჯეტში

შემოსავლების მიღების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, სტალინის და ჭავჭავაძის გადაკვეთაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში ს/კ (66.45.18.148), N3 (ფართობი: 4.35 კვ.მ) კომერციული დანიშნულების ობიექტის, პირობიანი აუქციონის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემა, რისთვისაც საჭიროა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და ქირის საწყისი წლიური საფასური.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, სტალინის და ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში (ს/კ 66.45.18.148), N3 (ფართობი: 4.35 კვ.მ) კომერციული დანიშნულების ობიექტი გასცეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით.

2.მიწისქვეშა გადასასვლელში (ს/კ 66.45.18.148), N3 (ფართობი: 4.35 კვ.მ) კომერციული დანიშნულების ობიექტის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 5840 (ხუთიათას რვაას ორმოცი) ლარით.

3. საწყისი წლიური საიჯარო ქირა N3 კომერციული დანიშნულების ობიექტზე განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარით

4. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა თითოეული კომერციული დანიშნულების ობიექტზე განისაზღვროს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. აუქციონის პირობად განისაზღვროს: გორში, ჭავჭავაძისა და სტალინის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე, მიწისქვეშა გადასასვლელში (ს/კ 66.45.18.148), N3 ქონება გაცემულ იყოს კომერციული დანიშნულებით (სავაჭრო ობიექტის მოსაწყობად) ასევე, N3 ქონების მიმდებარედ განხორციელდეს მოვლა-პატრონობა (სანიტარული, ჰიგიენური ნორმების დაცვა).

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**